ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1347623

ნომერი: AR1231328

თარიღი : 23.06.2014

გაცემის თარიღი : 27.06.2014

გაცნობის თარიღი : 29.06.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მაყაშვილი , N 34 , (ნაკვეთი N1/37) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ხვედელიძე პ/ნ 01015014539
- თბილისი კრწანისის ქ. N 16 კორ. 3 ბ. 8

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- III კლასი
- მიშენება ან მიშენება - დაშენება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: L.T.D. "BETSY"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 203834921
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: სტივენ ბოდინ ჯონსონი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017039780

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: N6/841-1
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 18.04.2011

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მაყაშვილის ქ. N34–ში (ნაკვ. N1/37) შ.პ.ს. "ბეტსი"–ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებული სასტუმროს რეკონსტრუქციის (მიშენება– დაშენებით) მშენებლობის ნებართვის გაცემას.

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ N366335 25.09.2012 წლის ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 18 აპრილის N01/791 ბრძანებასა და N6/841–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2011 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით" შეიცვალოს "ნებართვა ძალაშია 2014 წლის 24 ოქტომბრის ჩათვლით'';

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენს მიერ არასწორად მოხდა განაცხადის დარეგისტრირება. საჭიროა აირჩიოთ შესაბამის ნომენკლატურა: ელექტრონული განაცხადები>მშენებლობის ნებართვა> –მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება, ქვექმედება: ვადაგაუსვლელი და ატვირთული უნდა იქნას სრულყოფილი საპროექტო კოკუმენტაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური ამ ეტაპზე თქვენს მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7) დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.